# საქართველოს მთავრობის
# დადგენილება

**N 418 2026 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი**

**სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ**

**მუხლი 1.** „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 28 მაისის №1627-Vმს-XIმპ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული:

1. „სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვების წესი და პირობები“.

2. „შესყიდვის ობიექტების ჩამონათვალი, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვება“ (დანართი).

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 26 აგვისტოდან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი კობახიძე**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2026 წლის 26 აგვისტოს
№ 418 დადგენილებით

## სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვების წესი და პირობები

### მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. „სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვების წესი და პირობები“ (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) საფუძველზე და მისი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან სხვა მოწყვლადი ჯგუფების წევრთა სოციალური და პროფესიული ინტეგრაციის ხელშეწყობა, იმ ეკონომიკური ოპერატორების მხარდაჭერის გზით, რომელთა მიერ დასაქმებული პირების 30% მაინც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სხვა მოწყვლადი ჯგუფის წევრი.

2. სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვების ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ამ წესით დადგენილი პირობების დაცვით, სახელმწიფო შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) რეგისტრირებული მხოლოდ იმ ეკონომიკური ოპერატორებისთვის გამოაცხადოს, რომელთა მთავარი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან სხვა მოწყვლადი ჯგუფების წევრთა სოციალური და პროფესიული ინტეგრაცია.

3. იმ ეკონომიკურ ოპერატორთა წრე, რომელთათვისაც შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვება, განისაზღვრება ამ წესით ან/და სატენდერო დოკუმენტაციით.

4. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვება შესაძლებელია მხოლოდ ამ დადგენილების დანართით განსაზღვრულ სფეროებსა და CPV კოდების ფარგლებში.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვება** – კანონის $10^3$ მუხლით გათვალისწინებული მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც კონკრეტულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ მხოლოდ კანონით ან/და ამ წესით განსაზღვრულ პირებს, მათი სოციალური და პროფესიული ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით;

ბ) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი** – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი;

გ) **მოწყვლადი ჯგუფი** – მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახების წევრები, სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები, იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), ყოფილი პატიმრები და პირობით მსჯავრდებული პირები, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

დ) **დარეზერვებული სახელმწიფო შესყიდვა** – სახელმწიფო შესყიდვა, რომლის მიმართაც გამოყენებულია ან შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს კანონის $10^3$ მუხლით გათვალისწინებული მექანიზმი;

ე) **სოციალური და პროფესიული ინტეგრაცია** – ეკონომიკური ოპერატორის მიერ განხორციელებული მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესით განსაზღვრული მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა დასაქმების, პროფესიული უნარების განვითარების, სამუშაო გარემოსთან ადაპტაციისა და შრომის ბაზარზე სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობას;

ვ) **სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადება** – ამ წესის მიზნებისთვის, სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადებად ჩაითვლება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება ელექტრონული ტენდერის საშუალებით;

ზ) **ეკონომიკური ოპერატორი** – ნებისმიერი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, პირთა გაერთიანება, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც ბაზარზე საქონლის მიწოდებას ან მომსახურების გაწევას სთავაზობს.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, ასევე, ამ წესის თავისებურებათა გათვალისწინებით, კანონის საფუძველზე მიღებულ/გამოცემულ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

**მუხლი 3. დარეზერვებული სახელმწიფო შესყიდვის გამოყენების სფერო**

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ, კულტურულ ან სოფლის მეურნეობის სფეროში საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვის მიზნით, კანონითა და ამ წესით განსაზღვრული პირობების დაცვით, სახელმწიფო შესყიდვა გამოაცხადოს მხოლოდ იმ ეკონომიკური ოპერატორებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონის $10^3$ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით, აგრეთვე ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუ ეს მომსახურება ექცევა ამ დადგენილებით დამტკიცებული CPV კოდების ჩამონათვალში.

**მუხლი 4. დარეზერვებულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის პირობები**

1. ეკონომიკური ოპერატორის საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) თავმჯდომარის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია

ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის, ამ წესით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

2. დარეზერვებულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ იმ ეკონომიკურ ოპერატორს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) ეკონომიკური ოპერატორის საქმიანობის მიზანია ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ან/და საქონლის მიწოდება;

ბ) კანონის $10^3$ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, ეკონომიკურ ოპერატორში დასაქმებულ პირთა არანაკლებ 30%-ს წარმოადგენენ ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირები, ხოლო, თუ ეკონომიკური ოპერატორი ფიზიკური პირია ან ინდივიდუალური მეწარმეა, ეს ფიზიკური პირი ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირს წარმოადგენს;

გ) იგი ნორმალურ საბაზრო პირობებში ობიექტურად ვერ გაუწევს კონკურენციას სხვა ეკონომიკურ ოპერატორებს, რაც უნდა დასტურდებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევით ან შესაბამისი დასაბუთებით.

3. შემსყიდველი ორგანიზაცია ეკონომიკური ოპერატორის შერჩევასა და შეფასებას ახორციელებს სააგენტოს თავმჯდომარის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით, კანონის $10^3$ მუხლითა და ამ წესით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

4. გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის იდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. დარეზერვებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით დადებული შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედების ვადა 3 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

**მუხლი 5. დარეზერვებული სახელმწიფო შესყიდვის მოცულობა და სხვა შეზღუდვები**

1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში დარეზერვებული სახელმწიფო შესყიდვებისათვის გამოყოფილი ან გახარჯული თანხების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს იმავე საბიუჯეტო წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვის საერთო ღირებულების 1%-ს (შემდგომში – დარეზერვების მაქსიმალური ფინანსური ზღვარი).

2. დარეზერვების მაქსიმალური ფინანსური ზღვარი წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დარეზერვებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზედა ფინანსურ ზღვარს და, ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეიძლება, აღემატებოდეს შესაბამისი საბიუჯეტო წლის შესყიდვების გეგმის ჯამური ღირებულების 1%-ს.

3. დაუშვებელია დარეზერვებული სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა ან ნებისმიერი სხვა ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია კანონითა და ამ მუხლით დადგენილი მონეტარული ზღვრებისა და სხვა მოთხოვნებისათვის თავის არიდება.

**დანართი**

**შესყიდვის ობიექტების ჩამონათვალი, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვება**

| № | CPV | დასახელება |
|---|---|---|
| 1 | 03100000 | სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები |
| 2 | 03330000 | ცხოველური წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია |
| 3 | 18100000 | სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები |
| 4 | 18200000 | გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი |
| 5 | 18300000 | ტანსაცმელი |
| 6 | 18400000 | სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები |
| 7 | 75121000 | საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრაციული მომსახურებები |
| 8 | 75122000 | ჯანდაცვის სფეროს ადმინისტრაციული მომსახურებები |
| 9 | 75123000 | ბინათმშენებლობის ადმინისტრაციული მომსახურებები |
| 10 | 77100000 | სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები |
| 11 | 79622000 | სახლის სამუშაოებისთვის დამხმარე პერსონალით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურება |
| 12 | 79624000 | საშუალო სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის მომსახურება |
| 13 | 79625000 | სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის მომსახურება |

| | | |
|---|---|---|
| 14 | 80110000 | მომსახურებები სკოლამდელი განათლების სფეროში |
| 15 | 80300000 | მომსახურებები უმაღლესი განათლების სფეროში |
| 16 | 80420000 | ელექტრონული სწავლება |
| 17 | 80430000 | ზრდასრულთა სწავლება საუნივერსიტეტო დონეზე |
| 18 | 80511000 | მომსახურებები კადრების მომზადების სფეროში |
| 19 | 80520000 | საწვრთნელი/სატრენინგო საშუალებები |
| 20 | 80590000 | მომსახურებები ინდივიდუალური მეცადინეობის სფეროში |
| 21 | 85100000 | ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები |
| 22 | 85200000 | ვეტერინარიული მომსახურებები |
| 23 | 85300000 | სოციალური დახმარების სამსახური და მასთან დაკავშირებული მომსახურებები |
| 24 | 92500000 | ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმებისა და სხვა კულტურული დაწესებულებების მომსახურებები |
| 25 | 92600000 | სპორტული მომსახურებები |
| 26 | 98133000 | სოციალური საწევრო ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებები |
| 27 | 98133110 | ახალგაზრდული ასოციაციების (ორგანიზაციების) მიერ გაწეული მომსახურებები. |

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №98
2026 წლის 24 აგვისტო

ქ. თბილისი

**„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2026 წლის 28 მაისის №1627-Vმს-XIმპ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 15.06.2017, 010240060.57.069.016110) შეტანილ იქნეს ცვლილება:

**1. ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“:**

**ა) მე-11 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის $11^1$ მუხლი:**

**„მუხლი $11^1$. ელექტრონული ტენდერის დარეზერვება**

1. კანონის $10^3$ მუხლითა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლებელია ჩატარდეს დარეზერვებული ელექტრონული ტენდერი.

2. შემსყიდველი ორგანიზაცია დარეზერვებულ ელექტრონულ ტენდერს ატარებს ამ წესის შესაბამისად, კანონის $10^3$ მუხლითა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.“;

**ბ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ა^1$“ ქვეპუნქტი:**

„$ა^1$) მითითებას სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვებაზე, ალტერნატიულ შესყიდვაზე ან/და ერთობლივ შესყიდვაზე (არსებობის შემთხვევაში);“;

**გ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:**

„მ) ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვების თაობაზე (არსებობის შემთხვევაში).“;

**დ) 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის $7^1$ პუნქტი:**

„$7^1$. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ:

ა) პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა არ საჭიროებს დაზუსტებას და, ამავე ხარჯთაღრიცხვასა და ტექნიკურ დოკუმენტაციაში ან/და დაზუსტებულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ ფასთა შორის სხვაობა არ აღემატება 1 (ერთი) ლარს და ამავდროულად, ნაკლებია ელექტრონული ვაჭრობის შედეგად პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ წინადადების საბოლოო ფასზე;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარდგენილ დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვასა და წარდგენილ ტექნიკურ

დოკუმენტაციაში, ან/და დაზუსტებულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ ფასთა შორის სხვაობა არ აღემატება 1 (ერთი) ლარს და ამავდროულად, ნაკლებია ელექტრონული ვაჭრობის შედეგად პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ წინადადების საბოლოო ფასზე.“.

**2. ბრძანების №3 დანართი შეიცვალოს ამ ბრძანებას თანდართული დანართით.**

**მუხლი 2**

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2026 წლის 26 აგვისტოდან.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს ამოქმედების შემდგომ გამოცხადებულ ტენდერებზე.

**სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე** **გიორგი ლაცაბიძე**

*დანართი №3*

## კითხვარი, რომელსაც ელექტრონულად ავსებს შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მიზნით

| კითხვარი | სავალდებულო ველები | პრეტენდენტის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენი ინფორმაცია/დოკუმენტი | ტექსტური ველი | დოკუმენტის ასატვირთი ველი |
|---|---|---|---|---|
| **1. შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია** | | | | |
| 1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება | კი | | კი | |
| 1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა | კი | | კი | კი |
| 1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა | კი | | | კი |
| 1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა | კი | | კი | |
| 1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი | კი | | კი | |
| 1.6 მიუთითეთ შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა | კი | | კი | |
| 1.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ? | | კი/არა | | |
| 1.7.1 მიუთითეთ საგარანტიო ვადასთან დაკავშირებული მოთხოვნები | კი | | კი | კი |
| **2. ტექნიკური მოთხოვნები** | | | | |
| 2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ? | | კი/არა | | |
| 2.1.1 მიუთითეთ, თუ რა ინფორმაციამოითხოვება შესყიდვის ობიექტისსასაქონლო ნიშანთან, პატენტთან, მოდელთან, წარმოშობის წყაროსთან ან/და მწარმოებელთან დაკავშირებით | კი | | კი | კი |
| 2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ? | | კი/არა | | |
| 2.2.1 მიუთითეთ პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები | კი | | კი | კი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ? | | კი/არა | | |
| 2.3.1 მიუთითეთ პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებული მოთხოვნები | კი | | კი | კი |
| 2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ? | | კი/არა | | |
| 2.4.1 მიუთითეთ პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები | კი | | კი | კი |
| 2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)? | | კი/არა | | |
| 2.5.1 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადებთან (გეგმა-გრაფიკი) დაკავშირებული მოთხოვნები | კი | | კი | კი |
| 2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)? | | კი/არა | | |
| 2.6.1 მიუთითეთ პრეტენდენტის ფინანსურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული მოთხოვნები | კი | | კი | კი |
| 2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით? | | კი/არა | | |
| 2.7.1 მიუთითეთ ლიცენზიასთან, სტანდარტებთან, აკრედიტაციასთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები | კი | | კი | კი |
| 2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ? | | კი/არა | | |
| 2.8.1 მიუთითეთ ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებული მოთხოვნები | კი | | კი | კი |
| 2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები | | | კი | კი |
| **3. ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა** | | | | |
| 3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა? | | კი/არა | | |
| 3.1.1 მიუთითეთ ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებული მოთხოვნები | კი | | კი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.1.2 მიუთითეთ ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადა | კი | | კი | |
| 3.1.3 მიუთითეთ ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ადგილი | კი | | კი | |
| **4. ფასწარმოქმნის ადეკვატურობისდამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი** | | | | |
| 4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა? | | კი/არა | | |
| 4.1.1 მიუთითეთ კონკრეტულად, თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა | კი | | კი | |
| 4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა | კი | | კი | |
| 4.1.3 მიუთითეთ კონკრეტულად, თუ რის საფუძველზე არ იქნა გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება | კი | | კი | |
| **5. სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი** | | | | |
| 5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი? | | კი/არა | | |
| 5.1.1 მიუთითეთ, თუ რამ განაპირობა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის მოთხოვნის აუცილებლობა | კი | | კი | |
| 5.1.2 მიუთითეთ იურიდიული პირისთვის წაყენებული მოთხოვნები | კი | | კი | |
| 5.1.3 მიუთითეთ ინდივიდუალური მეწარმისთვის წაყენებული მოთხოვნები | კი | | კი | |
| 5.1.4 მიუთითეთ ფიზიკური პირისთვის წაყენებული მოთხოვნები | კი | | კი | |
| 5.1.5 მიუთითეთ ამხანაგობისთვის წაყენებული მოთხოვნები | კი | | კი | |
| 5.1.6 მიუთითეთ არარეზიდენტი პირისთვის წაყენებული მოთხოვნები | კი | | კი | |
| 5.1.7 მიუთითეთ წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის წაყენებული მოთხოვნები | კი | | კი | |
| **6. ხელშეკრულების შესრულებისუზრუნველყოფის გარანტია** | | | | |
| 6.1 მიუთითეთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის | კი | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გარანტიის ოდენობა | | | | |
| 6.2 მიუთითეთ სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა | კი | | | |
| 6.3 მიუთითეთ გარანტიის მოქმედების ვადა | კი | | კი | |
| 6.4 მიუთითეთ გარანტიის პირობები | კი | | კი | |
| 6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია? | | კი/არა | | |
| 6.5.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის რა თავისებურებამ განაპირობა გარანტიის მოთხოვნა | კი | | კი | |
| 6.5.2 მიუთითეთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა | კი | | | |
| 6.5.3 მიუთითეთ სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა | კი | | | |
| 6.5.4 მიუთითეთ გარანტიის მოქმედების ვადა | კი | | კი | |
| 6.5.5 მიუთითეთ გარანტიის პირობები | კი | | კი | |
| **7. ანგარიშსწორების პირობები** | | | | |
| 7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება? | | კი/არა | | |
| 7.1.1 მიუთითეთ წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები | კი | | კი | |
| 7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები | კი | | კი | |
| 7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები | კი | | კი | |
| **8. ხელშეკრულების პროექტი** | | | | |
| 8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი | კი | | | კი |
| **9. საკონტაქტო პირის შესახებინფორმაცია** | | | | |
| 9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები | კი | | კი | |
| **10. დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები** | | | | |
| 10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები | | | კი | კი |
| **11. სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი** | | | | |
| 11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი | კი | | | კი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **12. დარეზერვების პირობები** | | | | |
| 12.1. მიუთითეთ ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვების თაობაზე | კი | | კი | კი |
| 12.2. მიუთითეთ იმ ეკონომიკურ ოპერატორთა წრე, რომელთათვისაც შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვება | კი | | | |

**შენიშვნა:**

1. კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი ნორმების შესაბამისად, სისტემა ავტომატურად ხსნის კითხვარის შესაბამის ველს.
2. სატენდერო დოკუმენტაციის ველებსა და ატვირთულ დოკუმენტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სატენდერო დოკუმენტაციის ველებს.
3. პრეტენდენტის მიერ Excel-ის ცხრილის სახით წარსადგენი დოკუმენტი არ საჭიროებს ხელმოწერას ან/და ბეჭედს.
4. სატენდერო დოკუმენტაციის მე-12 პუნქტი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო განცხადება შეიცავს მითითებას სახელმწიფო შესყიდვის დარეზერვებაზე.